იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომაზე

ოქმი #8, 25 აპრილი, 2007 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი
/ნუნუ გელდიაშვილი/

თ ე ლ ა ვ ი

2 0 0 9

სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი

სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. იგი თავის საქმიანობას წარმართავს `უმაღლესი განათლების შესახებ~ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და მოცემული დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის ამოცანაა, ხელი შეუწყოს კვლევითი საქმიანობის სწორად განვითარებასა და სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას.

დეპარტამენტი:

• მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან კვლევითი საქმიანობის შინაარსიანად წარმართვისა და ერთობლივი სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისათვის;

• უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენციების ორგანიზებას;

• დროულად ავრცელებს ინფორმაციას საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში მიმდინარე კონფერენციების შესახებ;

• გეგმავს და წარმართავს რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობით;

• უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემას წელიწადში ერთხელ ან ორჯერ;

• დროულად ანხორციელებს პროფესორ-მასწავლებელთა შრომების შეფასებასა და გაგზავნას პარტნიორი უნივერსიტეტების რედაქციებში;

• ირჩევს სარედაქციო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიას;

• პერიოდულად იწვევს სარედაქციო კოლეგიის სხდომებს სამეცნიერო შრომების კრებულში გამოსაქვეყნებელი სტატიების განხილვისა და შეფასებისათვის;

• აანალიზებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თითოეული ეტაპის მიმდინარეობასა და შედეგებს და მათ პერიოდულად
მოახსენებს წარმომადგენლობით თუ აკადემიურ საბჭოებს;

• აჯამებს წლიური მუშაობის შედეგებს და ანგარიშის სახით წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას;

• ფაკულტეტებსა და კათედრებს დროულად აწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ საგრანტო კონკურსის გამოცხადების თაობაზე;

• გამოიმუშავებს რეკომენდაციებს სამეცნიერო საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის;

• სისტემატურად ზრუნავს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდისათვის.

დეპარტამენტი ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს. დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნიშნავს რექტორი. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის სტრუქტურას, შტატებს, ხელფასებს განსაზღვრავს რექტორი და ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ცვლილებები და დამატებები:

დეპარტამენტს უფლება აქვს, უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის უკეთ წარმართვისა და სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით, აკადემიურ საბჭოს მიმართოს თხოვნით მეცნიერ-თანამშრომლის შტატის შემოღების თაობაზე;

მეცნიერ-თანამშრომლის უფლება-მოვალეობებს არეგულირებს სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის დებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი;

მეცნიერ-თანამშრომლის ძირითადი მოვალეობაა უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულებისთვის ხელშეწყობა, რასაც იგი ახორციელებს სამეცნიერო პროექტების მომზადებითა და სხვა სამეცნიერო საქმიანობაში აქტიური ჩართვით;

მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს, უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში საათობრივი ანაზღაურების წესით;

სამეცნიერო პროექტის მოუმზადებლობა ან დაუფინანსებლობა, სხვა პირობებთან ერთად, არის მეცნიერ-თანამშრომელთან ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი.